

ლექცია 11

6.2. პერძო ფარმოლებულები. დივერგენცია. გრადიენტი

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ერთი ცვლადის (არგუმენტის) ფუნქციებს, მაგრამ ფუნქცია შეიძლება სიბრტყის ან სივრცის წერტილთა რაიმე სიმრავლის ყოველ წერტილს (შესაბამისად, რიცხვთა დალაგებულ წყვილს და სამეულს) უთანადებდეს ცალსახად განსაზღვრულ რაიმე რიცხვს. ამის შესაბამისად მივიღებთ ორი და სამი ცვლადის (არგუმენტის) ფუნქციებს. მაგ.,

$$z = f(x, y) \quad \text{და} \quad u = f(x, y, z).$$

თუ ერთის, მაგ., x -ის, გარდა დანარჩენ არგუმენტებს დავაფიქსირებთ, მივიღებთ ერთი x ცვლადის ფუნქციას, რომლისთვისაც წარმოებული განმარტებული გააქვს. ამ უკანასკნელს x -ის მიმართ კერძო წარმოებული ეწოდება. ანალოგიურად განიმარტება კერძო წარმოებულები სხვა ცვლადების მიმართ. სახელდობრ,

$$\begin{aligned}\frac{\partial u(x, y, z)}{\partial x} &:= \lim_{\Delta x \rightarrow 0} \frac{u(x + \Delta x, y, z) - u(x, y, z)}{\Delta x}, \\ \frac{\partial u(x, y, z)}{\partial y} &:= \lim_{\Delta y \rightarrow 0} \frac{u(x, y + \Delta y, z) - u(x, y, z)}{\Delta y}, \\ \frac{\partial u(x, y, z)}{\partial z} &:= \lim_{\Delta z \rightarrow 0} \frac{u(x, y, z + \Delta z) - u(x, y, z)}{\Delta z}.\end{aligned}$$

გამოყენებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგი დიფერენციალური ოპერატორები:

$$1. \vec{v} := (v_x, v_y, v_z) \quad \text{გეგეტორის დივერგენცია}$$

$$\operatorname{div} \vec{v} := \frac{\partial v_x}{\partial x} + \frac{\partial v_y}{\partial y} + \frac{\partial v_z}{\partial z};$$

$$2. u \quad \text{სკალარის გრადიენტი}$$

$$\operatorname{grad} u := \frac{\partial u}{\partial x} \vec{i} + \frac{\partial u}{\partial y} \vec{j} + \frac{\partial u}{\partial z} \vec{k},$$

სადაც $\vec{i} \equiv \vec{e}_1 := (1, 0, 0)$, $\vec{j} \equiv \vec{e}_2 := (0, 1, 0)$, $\vec{k} \equiv \vec{e}_3 := (0, 0, 1)$, შესაბამისად, $x_1 \equiv x$, $x_2 \equiv y$, $x_3 \equiv z$ დერმების ორტებია. დივერგენცია სკალარული, ხოლო გრადიენტი ვექტორული სიდიდეა.

ორი \vec{v} და \vec{w} გეგეტორის სკალარული (შევა) ნამრავლი მათი სიგრძეებისა და მათ შორის მდებარე კუთხის კოსინუსის ნამრავლის ტოლია:

$$(\vec{v}, \vec{w}) := |\vec{v}| \cdot |\vec{w}| \cos \alpha.$$

ეს განმარტება ადრე შემოტანილი განმარტების

$$(\vec{v}, \vec{w}) := v_1 w_1 + v_2 w_2 + v_3 w_3$$

ეკვივალენტურია*).

* მართლაც, რადგანაც $(\vec{e}_i, \vec{e}_j) = |\vec{e}_i| \cdot |\vec{e}_j| \cos \alpha = \cos \alpha = \begin{cases} 1, & \text{როცა } i = j, \text{ ე.ო., როცა } \alpha = 0; \\ 0, & \text{როცა } i \neq j, \text{ ე.ო., როცა } \alpha = \frac{\pi}{2}, \end{cases}$

სადაც α კუთხეა \vec{e}_i -სა და \vec{e}_j -ის შორის, ამიტომ

$$\begin{aligned}(\vec{v}, \vec{w}) &:= (v_1 \vec{e}_1 + v_2 \vec{e}_2 + v_3 \vec{e}_3, w_1 \vec{e}_1 + w_2 \vec{e}_2 + w_3 \vec{e}_3) = v_1 w_1 (\vec{e}_1, \vec{e}_1) + v_1 w_2 (\vec{e}_1, \vec{e}_2) + v_1 w_3 (\vec{e}_1, \vec{e}_3) + v_2 w_1 (\vec{e}_2, \vec{e}_1) + \\ &+ v_2 w_2 (\vec{e}_2, \vec{e}_2) + v_2 w_3 (\vec{e}_2, \vec{e}_3) + v_3 w_1 (\vec{e}_3, \vec{e}_1) + v_3 w_2 (\vec{e}_3, \vec{e}_2) + v_3 w_3 (\vec{e}_3, \vec{e}_3) = v_1 w_1 + v_2 w_2 + v_3 w_3.\end{aligned}$$

6.3. ვუნიციის ექსტრემული. შირის ასიმეტრია

განსაზღვრა 6.3.1. ამბობენ, რომ x_0 წერტილის მიდამოში განსაზღვრულ ფუნქციას ამ წერტილში აქვს ლოკალური მაქსიმუმი (მინიმუმი), თუ

$$f(x) \leq f(x_0) \quad (f(x) \geq f(x_0))$$

ყველა x -ისთვის x_0 -ის მახლობლობაში (იხ. ნახ. 6.3.1).

ლოკალური მაქსიმუმი და მინიმუმი გეოცრი ლოკალური მაქსიმუმი და მინიმუმია, თუ, შესაბა-
მისად,


$f(x) < f(x_0)$ یا $f(x) > f(x_0)$.

თეორემა 6.3.2. სამართლიანია შემდეგი მტკიცებები

$x < x_0$	$f(x) < f(x_0)$	$f(x) > f(x_0)$
$x > x_0$	$f(x) > f(x_0)$	$f(x) < f(x_0)$

დამტკიცება გამომდინარეობს წარმოებულის განმარტებიდან.

თეორემა 6.3.3. თუ რაიმე ინტერვალზე ფუნქციის წარმოებული დადგითია (უარყოფითია), იქ ფუნქცია ზრდადია (კლებადია).



69b. 6.3.1

თეორემა 6.3.2-დან ცხადია, რომ, თუ

$$f'(x_0) > 0 \text{ or } f'(x_0) < 0,$$

მაშინ x_0 წერტილში ფუნქციას არ შეიძლება ჰქონდეს არც ლოკალური მაქსიმუმი და არც ლოკალური მინიმუმი (ერთი სიტყვით, ლოკალური ექსტრემუმი). ამდენად, თუ ფუნქციას x_0 წერტილში წარმოებული აქვს და იქ ექსტრემუმს აღწევს, აუცილებლად

$$f'(x_0) = 0$$

და ფუნქციის გრაფიკისადმი ექსტრემუმის წერტილის შესაბამის წერტილში გავლებული მხები პორიზონტალურია (იხ. ნახ. 6.3.1). ამდენად, ჭრიშმარიტია:

თეორემა 6.3.4. თუ x_0 წერტილი $f(x)$ ფუნქციის ექსტრემუმის წერტილია (ე. ი. ისეთი წერტილი, რომელშიც ფუნქცია ლოკალურ მინიმუმს ან მაქსიმუმს აღწევს) და ამ წერტილში არსებობს წარმოებული, მაშინ ეს წარმოებული 0-ის ტოლია:

$$f'(x_0) = 0.$$

ანალოგიურად, მრავალი ცვლადის ფუნქციის შემთხვევაში ექსტრემუმის წერტილში ფუნქციის პირველი რიგის ყველა კერძო წარმოებული აუცილებლად ნულის ტოლია მათი არსებობის პირობებში.

თეორემა 6.3.5. თუ $y = f(x)$ ფუნქციას x_0 წერტილში გააჩნია მეორე რიგამდე წარმოებული და სრულდება

$$f'(x_0) = 0, \quad f''(x_0) < 0$$



პირობები, მაშინ x_0 წერტილი ფუნქციის მაქსიმუმის წერტილია.

თეორემა 6.3.6. თუ $y = f(x)$ ფუნქციას x_0 წერტილში გააჩნია მეორე რიგამდე წარმოებული და სრულდება

$$f'(x_0) = 0, \quad f''(x_0) > 0$$

პირობები, მაშინ x_0 წერტილი ფუნქციის მინიმუმის წერტილია.

განსაზღვრა 6.3.7. ფუნქციას ეწოდება „ქვემოთ“ ამოზნექილი („ზემოთ“ ამოზნექილი) რაიმე ინტერვალზე, თუ ამ ინტერვალში აღებული ნებისმიერი წერტილის შესაბამის წირის (გრაფიკის)



წერტილში გავლებული მხები ფუნქციის გრაფიკის ქვემოთ (ზემოთ) არის მოთავსებული (იხ., შესაბამისად, ნახ. 6.3.2 ა) და ბ))^{*}).

თეორემა 6.3.8. თუ მოცემულ ინტერვალზე f ფუნქციას გააჩნია მეორე რიგის წარმოებული და ეს წარმოებული დადგებითია (უარყოფითია) ამ ინტერვალზე, მაშინ ფუნქცია ქვემოთ ამოზნექილია (ზემოთ ამოზნექილია).


განსაზღვრა 6.3.9. ფუნქციის გადალუნვის წერტილი ეწოდება წერტილს, რომელიც ფუნქციის ზემოთ და ქვემოთ ამოზნექილობის შუალედებს განაცალკევებს (იხ. ნახ. 6.3.3) ან, რაც იგივეა, გადალუნვის წერტილი ეწოდება წერტილს, რომელშიც გავლებული მხების ამ წერტილის ცალ მხარეს მდებარე ნაწილი გრაფიკის ზემოთ, ხოლო მეორე ნაწილი გრაფიკის ქვემოთაა მოთავსებული.

თეორემა 6.3.10. თუ f ფუნქციას გააჩნია მეორე რიგის წარმოებული x_0 წერტილის მახლობლობაში, ამასთან

$$f''(x_0) = 0$$

და f'' -ს x_0 წერტილის მარცხენა და მარჯვენა მიდამოში სხვადასხვა ნიშანი აქვს, მაშინ $(x_0, f(x_0))$ წერტილი ფუნქციის გრაფიკის გადალუნვის წერტილია.

განსაზღვრა 6.3.11. თუ წირის^{**} წერტილიდან რამე წრფემდე მანძილი ნულისკენ მიისწრაფის



ნახ. 6.3.4

წერტილის წირის გასწვრივ უსასრულობაში მისწრაფებისას, მაშინ ამ წრფეს წირის ასიმპტოტა

^{*}) სხვა სიტყვებით, ეს თვისება იმით ხასიათდება, რომ გრაფიკის ნებისმიერი ორი A და B წერტილის შემაერთებელი \overline{AB} ქორდა (ე.ი. A და B წერტილების შემაერთებელი წრფე – მონაკვეთი) მთლიანად მოქცეულია ამ წერტილების შემაერთებელი $A\bar{B}$ რეალის ზემოთ (სათანადოდ, ქვემოთ).

^{**)} ასიმპტოტა განიმარტება წირისთვის. წრფეს ასიმპტოტა არ აქვს.

ეწოდება. სხვა სიტყვებით, ისეთ წრფეს, რომელსაც წირი უსაზღვროდ უახლოვდება, როცა წირის წერტილი უსასრულობისკენ მიისწრაფის, მაგრამ მას არ კვეთს, ასიმპტოტა ეწოდება.

ასიმპტოტა შეიძლება იყოს პორიზონტალური, კერტიკალური და დახრილი (იხ., შესაბამისად, ნახ. 6.3.4 ა), ბ) და გ)).

განსაზღვრა 6.3.12. ოუ

$$\lim_{x \rightarrow a^{\pm}} f(x) = +\infty \text{ ან } \lim_{x \rightarrow a^{\pm}} f(x) = -\infty,$$

მაშინ $x = a$ წრფეს $y = f(x)$ ფუნქციის კერტიკალური ასიმპტოტა ეწოდება.

თეორემა 6.3.13. $y = kx + b$ წრფე $y = f(x)$ ფუნქციის დახრილი ასიმპტოტა*^{*)} ($\text{თუ } k = 0$, ის პორიზონტალური ასიმპტოტა**^{**}), თუ $y = f(x)$ ფუნქცია $+\infty$ -ის ან $-\infty$ -ის, შესაბამისად, მარცხენა ან მარჯვენა რამე მიდამოში შეიძლება წარმოვადგინოთ

$$f(x) = kx + b + \gamma(x) \quad (6.3.1)$$

სახით, სადაც

$$\lim_{x \rightarrow \pm\infty} \gamma(x) = 0.$$

დამტკიცება ცხადია. მართლაც, თეორემაში მთითებულ მიდამოში $y = f(x)$ წირის წერტილსა და $y = kx + b$ წრფეს შორის მანძილის ზღვარი (იხ. ნახ. 6.3.4)

$$\lim_{x \rightarrow \pm\infty} \delta = [f(x) - kx - b] \cos \angle PMM_x = 0,$$

რადგან, (6.3.1)-ის თანახმად, $f(x) - kx - b = \gamma(x)$ და ამდენად,

$$\lim_{x \rightarrow \pm\infty} [f(x) - kx - b] = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \gamma(x) = 0.$$

ამრიგად, დახრილი ასიმპტოტის მოსამებნად უნდა ვიპოვოთ ორი ზღვარი:

$$1) \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{f(x)}{x} = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{kx + b + \gamma(x)}{x} = \lim_{x \rightarrow \pm\infty} k + \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{b}{x} + \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{\gamma(x)}{x} = k;$$

$$2) \lim_{x \rightarrow \pm\infty} [f(x) - kx] = \lim_{x \rightarrow \pm\infty} [b + \gamma(x)] = b.$$

აქედან გამომდინარეობს

თეორემა 6.3.14. თუ არსებობს სასრული k და b , როცა x მიისწრაფის $+\infty$ -სკენ ან $-\infty$ -სკენ, მაშინ არსებობს $y = kx + b$ ასიმპტოტა.

განსაზღვრა 6.3.15. $y = f(x)$ ფუნქციას ეწოდება უსასრულოდ მცირე ფუნქცია (სიდიდე), როცა $x \rightarrow a$ (a შეიძლება იყოს უსასრულოდ დაშორებული წერტილი), თუ

$$\lim_{x \rightarrow a} f(x) = 0.$$

$y = f(x)$ ფუნქციას ეწოდება უსასრულოდ დიდი ფუნქცია (სიდიდე), როცა $x \rightarrow a$, თუ

$$\lim_{x \rightarrow a} f(x) = \pm\infty.$$

თეორემა 6.3.16 (ლოპიტალის*** წესი). ორი უსასრულოდ მცირე ფუნქციის შეფარდების ზღვარი ტოლია ამ ფუნქციების წარმოებულების შეფარდების ზღვრის, თუ ეს უკანასკნელი არსებობს, ე. ი.

^{)} წირს მხოლოდ ორი დახრილი და პორიზონტალური ასიმპტოტა შეიძლება ჰქონდეს, როცა $x \rightarrow +\infty$ და როცა $x \rightarrow -\infty$.

**) თუ $\lim_{x \rightarrow \pm\infty} f(x)$ არ არის სასრული, წირს პორიზონტალური ასიმპტოტა არ აქვს.

***) გ. ფ. ა. ლოპიტალი (1661-1704) – ფრანგი მათემატიკოსი.

$$\lim_{x \rightarrow a} \frac{f(x)}{g(x)} = \lim_{x \rightarrow a} \frac{f'(x)}{g'(x)}, \text{ როცა } \lim_{x \rightarrow a} f(x) = 0 \text{ და } \lim_{x \rightarrow a} g(x) = 0.$$

შენიშვნა 6.3.17. მოუხედავად იმისა, $\lim_{x \rightarrow a} f(x)$ სასრულია თუ უსასრულო, ლოპიტალის წესი სამართლიანია მაშინაც, როცა

$$\lim_{x \rightarrow a} g(x) = +\infty \text{ ან } \lim_{x \rightarrow a} g(x) = -\infty.$$

ხშირად ლოპიტალის წესის გამოყენება მოხერხებულია $\infty - \infty$, 0^0 , 1^∞ , ∞^0 სახის განუზღვრელობების გასახსნელად.

6.4. ფუნქციის ბრაზიბის აბება

ფუნქციის გრაფიკის აგების დიფერენციალური მეთოდი შედგება შემდეგი 9 ნაბიჯისგან:

1. ფუნქციის განსაზღვრის არის პოვნა; ლურ-კერტობის და პერიოდულობის დადგენა;
2. წყვეტის წერტილების პოვნა; წყვეტის წერტილებში ცალმხრივი ზღვრების გამოთვლა;
3. საკორდინატო ღერძებთან თანაკვეთის წერტილების პოვნა;
4. უსასრულობაში ფუნქციის ყოფაქცევის შესწავლა;
5. ზრდადობისა და კლებადობის ინტერვალების დადგენა;
6. ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე;
7. ფუნქციის ზემოთ და ქვემოთ ამოზნექილობის შუალედების დადგენა; გადაღუნვის წერტილების პოვნა;
8. ფუნქციის ასიმპტოტების პოვნა;
9. პირველი რვა პუნქტის გამოყენებით გრაფიკის აგება.

მეთოდის ილუსტრირება მოვახდინოთ შემდეგი ოთხი მარტივი ფუნქციის მაგალითზე:

$$\text{ა) } y = x; \quad (6.4.1)$$

$$\text{ბ) } y = \frac{1}{x}; \quad (6.4.2)$$

$$\text{გ) } y = x^2; \quad (6.4.3)$$

$$\text{დ) } y = \sin x. \quad (6.4.4)$$

1. მოვძებნოთ (6.4.1), (6.4.2), (6.4.3), (6.4.4) ფუნქციების განსაზღვრის არუები.

ა) $y = x$ ფუნქციის განსაზღვრის არეა $x \in]-\infty; +\infty[$, ან, რაც იგივეა, $x \in R^1$.

ბ) $y = \frac{1}{x}$ ფუნქცია განსაზღვრულია ნებისმიერი წერტილში R^1 -დან, გარდა 0-სა, ე. ი.

$x \in]-\infty; 0] \cup]0; +\infty[$.

გ) $y = x^2$ ფუნქციის განსაზღვრის არეა $x \in]-\infty; +\infty[$.

დ) $y = \sin x$ ფუნქციის განსაზღვრის არეა $x \in]-\infty; +\infty[$.

გვარკვიოთ თოთოეული ფუნქციის ლურ-კერტობა.

ა) $f(x) = x$. განვიხილოთ $f(-x)$.


$f(-x) = -x = -f(x)$, ე. ი. ფუნქცია კენტია.

ბ) $f(x) = \frac{1}{x}$. განვიხილოთ

$$f(-x) = \frac{1}{-x} = -\frac{1}{x} = -f(x), \text{ ე. ი. ფუნქცია კენტია.}$$

გ) $f(x) = x^2$. განვიხილოთ

დ) $f(x) = \sin x$. განვიხილოთ



65b. 6.4.1

$$f(-x) = \sin(-x). \quad (6.4.5)$$

ნახ. 6.4.1-ზე მოცემულია r -რადიუსიანი წრე. I ქეთხედში გადავტომოთ α რადიანის ტოლი კუთხე. $\sin \alpha$ -ს განმარტების თანახმად (იხ. განსაზღვრა 6.1.5),

$$\sin \alpha = \frac{y}{r}.$$

კადია,

$$\sin(-\alpha) = \frac{-y}{r} = -\frac{y}{r} = -\sin \alpha .$$

ბოლო ტოლობის ძალით, (6.4.5) ტოლობა შემდეგი სახით გადაიწერება

$$f(-x) = \sin(-x) = -\sin x = -f(x),$$

ე. ი. $y = \sin x$ ფუნქცია კენტია.

შენიშვნა 6.4.1. $y = \sin x$ ფუნქცია I და II მეოთხედებში დადებით მნიშვნელობებს იღებს, ხოლო III და IV მეოთხედებში – უარყოფითს.

პერიოდულობა.

$$s) \quad f(x) = x$$

$f(x+l) = x + l = x$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $l = 0$, რაც იმას ნიშნავს, რომ (6.4.1) ფუნქცია არაპერიოდულია.

$$\delta) \quad f(x) = \frac{1}{x}$$

$$f(x+l) = \frac{1}{x+l} = \frac{1}{x} - \frac{l}{x^2} \quad \text{ბაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა } l = 0, \quad \text{რაც იმას ნიშნავს, რომ (6.4.2)}$$

$$\min \{1, n + m - \sqrt{m} + 3\sqrt{n} + m\}$$

2) የኅጂዣዎች ማስተካከለ ስት እንደሆነ ጥሩ (6.1.3) መቀበሱባቸው በኅጂዣዎች

დ) (6.4.4) ფუნქცია \tilde{z} პერიოდულია და მისი უმცირესი დადგებითი პერიოდია 2π . მართლაც, რადგან

$$\sin(2\pi + x) = \sin 2\pi \cos x + \cos 2\pi \sin x = \sin x,$$

ამიტომ 2π წარმოადგენს ერთ-ერთ პერიოდს. ვაჩვენოთ, რომ ის უმცირესი დადებითი პერიოდია. თუ დავუშვებთ, რომ $0 < l < 2\pi$ პერიოდია, მაშინ

$$\sin(x + l) = \sin x$$

ნებისმიერი x -სთვის, მათ შორის $x = 0$ -სთვისაც, რაც იმას ნიშნავს, რომ $\sin l = \sin 0 = 0$,

რაც მართებულია 2π -ზე ნაკლები მხოლოდ ერთი $l = \pi$ მნიშვნელობისთვის. მაგრამ π არ წარმოადგენს $\sin x$ -ის პერიოდს, რადგან $\sin \frac{\pi}{2} = 1$, $\sin \left(\frac{\pi}{2} + \pi \right) = -1$.

ამდენად, საკმარისია მისი გრაფიკი ავაგოთ $[0, 2\pi]$ შუალედში, ხოლო შემდეგ გადავიტანოთ მარჯვნივ და მარცხნივ 2π პერიოდით.

2. გავარკვიოთ ფუნქციის წყვეტის წერტილების საკითხი.

ა) $y = x$ ფუნქციას წყვეტის წერტილები არ აქვს, რადგან განსაზღვრულია ყველა x -სთვის $]-\infty, +\infty[$ ინტერვალიდან.

δ) $y = \frac{1}{x}$ ფუნქციის წყვეტის წერტილია $x = 0$. ვიპოვოთ (6.4.2) ფუნქციის ცალმშრივი

$$\lim_{x \rightarrow 0^+} \frac{1}{x} = +\infty, \quad \lim_{x \rightarrow 0^-} \frac{1}{x} = -\infty.$$

(6.4.3) და (6.4.4) ფუნქციებს წყვეტის წერტილები არ აქვთ.

3. ფუნქციის გრაფიკის x და y ღერძებთან თანაკვეთის წერტილების მოსახებნად შესაბამისად y და x კვლადები უნდა გავუტოლოთ ნულს.

ა) $y = x$ ფუნქცია გადის კოორდინატთა სათავეზე, ე. ი. $(0,0)$ წერტილზე, რადგან ანსახოვრულია $\forall x \in [-\infty, +\infty]$.

ձ) $y = \frac{1}{x}$ օպերատորի գրաֆիկը առ կազմություն և դասակարգությունը լրացնելու համար համապատասխան է.

3) $y \equiv x^2$ օղակիցներու շրջագործ աշխատքը $(0,0)$ բնակչության

ღ) $y = \sin x$ ფუნქციის გრაფიკი x ღერძს კვეთს, როცა $\sin x = 0$ -ს, ე. ი. $x = k\pi$, $k = 0, \pm 1, \pm 2, \dots$ წარმოილებში, y ლარძეს $(0,0)$ წარმოილებში, რაოდან $y = \sin 0 = 0$.

4 ወጪዕዳንበት በመሳደግኝነት መለያዕምዎች እስከ

$$5) \lim_{x \rightarrow \pm\infty} x = \pm\infty.$$

$$\delta) \quad \lim_{x \rightarrow +\infty} \frac{1}{x} = 0.$$

$$3) \lim_{x \rightarrow +\infty} x^2 = +\infty.$$

ღ) $\lim_{x \rightarrow \pm\infty} (\sin x)$ არ არსებობს.

5. Հերթափողձայնագույնագովորի և շատկութագիւն

$$g) \quad f(x) = x$$

$f'(x) \equiv 1 > 0$, ე. ი. ფუნქცია ზრდადია განსაზღვრის მთელ არეზე.

$$\text{d)} \quad f(x) = \frac{1}{x}.$$

$$f'(x) = (x^{-1})' = (-1)x^{-2} = -\frac{1}{x^2} < 0 \quad \text{ნებისმიერი } x \neq 0 \text{-სთვის.}$$

ამდენად, ფუნქცია კლებადია თავის განსაზღვრის არეზე.

$$\text{g)} \quad f(x) = x^2.$$

$$f'(x) = (x^2)' = 2x \begin{cases} > 0, & \text{როცა } x > 0, \text{ ე. ი. ზრდადია, როცა } x \in [0; +\infty[, \\ < 0, & \text{როცა } x < 0, \text{ ე. ი. კლებადია, როცა } x \in]-\infty; 0]. \end{cases}$$

$$\text{დ)} \quad f(x) = \sin x.$$

$$f'(x) = \cos x \begin{cases} > 0, & \text{I და IV მეოთხედებში, ამიტომ იქ ზრდადია,} \\ < 0, & \text{II და III მეოთხედებში, ამიტომ იქ კლებადია.} \end{cases}$$

6. ფუნქციის ექსტრემუმის წერტილების მოძებნა.

$$\text{a)} \quad f(x) = x.$$

$f'(x) \equiv 1 \neq 0$, ე. ი. $y = x$ ფუნქციას ექსტრემუმის წერტილები არ აქვს.

$$\text{b)} \quad f(x) = \frac{1}{x}.$$

$$f'(x) = -\frac{1}{x^2} \neq 0, \quad \text{ე. ი. } y = \frac{1}{x} \text{ ფუნქციას ექსტრემუმის წერტილები არ აქვს.}$$

$$\text{c)} \quad f(x) = x^2.$$

$$f'(x) = 2x = 0, \quad \text{როცა } x = 0.$$

$x = 0$ ექსტრემუმის წერტილია. იმის გასარკვევად, ეს წერტილი მაქსიმუმის წერტილია თუ მინიმუმის, საჭიროა, ვიპოვოთ $f''(x)$:

$$f''(x) = 2 > 0,$$

ე. ი. $x = 0$ მინიმუმის წერტილია. რადგან $f(0) = \min f(x) = 0$, ამიტომ $(0, 0)$ წერტილში გამავალი მხები $y = 0$ წრფეს (x ღერძს) ემთხვევა (იხ. §6.1). მართლაც,

$$y - f(0) = f'(0)(x - 0),$$

მაგრამ

$$f(0) = 0 \quad \text{და} \quad f'(0) = 0, \quad \text{ე. ი. } y = 0.$$

$$\text{დ)} \quad f(x) = \sin x.$$

$$f'(x) = \cos x = 0, \quad \text{როცა } x = \frac{\pi}{2} + \pi k, \quad k = 0; \pm 1; \pm 2; \dots$$

განვიხილოთ $f''(x)$:

$$\begin{aligned} f''(x) = -\sin x \Rightarrow f''\left(\frac{\pi}{2} + \pi k\right) &= -\sin\left(\frac{\pi}{2} + \pi k\right) \\ &= -\cos \pi k = \begin{cases} -1 < 0, & \text{როცა } k = 2j, \\ -(-1) > 0, & \text{როცა } k = 2j + 1, \end{cases} \quad j = 0; \pm 1; \pm 2; \dots \end{aligned}$$

მივიღეთ, რომ $x = \frac{\pi}{2} + 2\pi j$, $j = 0, \pm 1, \pm 2, \dots$, წერტილები ფუნქციის მაქსიმუმის მინიმუმის წერტილებია, ხოლო $x = \frac{\pi}{2} + \pi(2j+1) = \frac{3\pi}{2} + 2\pi j^*$, ე. ი. $x = -\frac{\pi}{2} + 2\pi j^*$, $j = 0, \pm 1, \pm 2, \dots$, წერტილები – ფუნქციის მინიმუმის მინიმუმის წერტილები. ექსტრემუმის წერტილების შესაბამის წირის წერტილებში გავლებული მხებები x დერძის პარალელურია (იხ. § 6.1). მართლაც, $\left(\frac{\pi}{2} + \pi k, (-1)^k\right)$ წერტილში გავლებული მხების განტოლებაა

$$y - \sin\left(\frac{\pi}{2} + \pi k\right) = \cos\left(\frac{\pi}{2} + \pi k\right)\left(x - \frac{\pi}{2} - \pi k\right), \text{ ე. ი. } y = (-1)^k.$$

7. ფუნქციის ზემოთ და ქვემოთ ამოზნექილობა; გადაღუნვის წერტილების პოვნა.

ა) $f(x) = x$.

$f''(x) \equiv 0$, ე. ი. $y = x$ ფუნქცია არ არის არც ზემოთ და არც ქვემოთ ამოზნექილი. მის მიერ x დერძთან შედგენილი α კუთხის ტანგენსი $\operatorname{tg} \alpha = m = 1$, საიდანაც $\alpha = \frac{\pi}{4}$.

ბ) $f(x) = \frac{1}{x}$.

$$f''(x) = \left(\frac{1}{x}\right)'' = (-x^{-2})' = \frac{2}{x^3} \begin{cases} > 0, & \text{როცა } x > 0, \\ < 0, & \text{როცა } x < 0, \end{cases}$$

ე. ი. $y = \frac{1}{x}$ ფუნქციის გრაფიკი $x \in]0; +\infty[$ შეალებდნენ ქვემოთ ამოზნექილია, ხოლო $x \in]-\infty; 0[$

შეალებდნენ – ზემოთ ამოზნექილი.

გ) $f(x) = x^2$.

$f''(x) \equiv 2 > 0$, ე. ი. ფუნქციის გრაფიკი ქვემოთ ამოზნექილია.

დ) $f(x) = \sin x$.

$$f''(x) = -\sin x \begin{cases} > 0, & \text{III და IV მეოთხედებში,} \\ < 0, & \text{I და II მეოთხედებში,} \end{cases}$$

ე. ი. ფუნქციის გრაფიკი ქვემოთ ამოზნექილია, როცა $x \in]-\pi + 2\pi k, 2\pi k[$, $k = 0; \pm 1; \pm 2; \dots$, კერძოდ, როცა $k = 0$, $]-\pi, 0[$ ინტერვალზე, და ზემოთ ამოზნექილია, როცა $x \in]2\pi k, \pi(1+2k)[$, $k = 0; \pm 1; \pm 2; \dots$, კერძოდ, როცა $k = 0$, $]0, \pi[$ ინტერვალზე. ცხადია, რომ

$$f''(\pi k) = -\sin(\pi k) = 0,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ $x = \pi k$ გადაღუნვის წერტილებია, რადგან πk წერტილის ერთ მხარეს ფუნქცია ქვემოთ ამოზნექილია, ხოლო მეორე მხარეს – ზემოთ ამოზნექილი.

*) წერტილთა ეს სიმრავლეები რომ ერთი და იგივეა, ადვილად დავრწმუნდებით $j = j' - 1$, $j, j' = 0, \pm 1, \pm 2, \dots$, ჩასმით.

გამოვთვალოთ გადაღუნვის 0 და π წერტილებში გავლებულ მხებთა მიერ x ღერძთან შედგენილი კუთხეები. წირისადმი გავლებული მხების განტოლების ფორმულიდან შესაბამისად გვექნება (იხ. § 6.1)

$$y - \sin 0 = \sin' 0 \cdot (x - 0) \quad \text{და} \quad y - \sin \pi = \sin' \pi \cdot (x - \pi),$$

ე.ო.

$$y = \cos 0 \cdot x \quad \text{და} \quad y = \cos \pi \cdot (x - \pi).$$

საიდანაც, შესაბამისად,

$$y = x \quad \text{და} \quad y = -x + \pi.$$

მაგრამ, რადგან საკუთხო კოეფიციენტი (იხ. § 6.1) $\tan \alpha = m = f'(x_0)$, ამიტომ $\tan \alpha = 1$, როცა $x_0 = 0$, და $\tan \alpha = -1$, როცა $x_0 = \pi$. შესაბამისად $\alpha = \frac{\pi}{4}$, როცა $x_0 = 0$, და $\alpha = -\frac{\pi}{4}$ ან რაც იგივეა $\alpha = \frac{3\pi}{4}$, როცა $x_0 = \pi$.

8. ასიმპტოტების პოვნა.

ა) (6.4.1) ფუნქციის გრაფიკს ასიმპტოტები არ აქვს, რადგან ასიმპტოტა მხოლოდ წირისთვის განიმარტება.

ბ) (6.4.2) ფუნქციის გრაფიკის პორიზონტალური ასიმპტოტაა $y = 0$, ვერტიკალური ასიმპტოტა კი $x = 0$; დახრილი ასიმპტოტები არ გააჩნია. მართლაც,

$$k = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{f(x)}{x} = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{1}{x^2} = 0,$$

ამიტომ

$$b = \lim_{x \rightarrow \pm\infty} [f(x) - kx] = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{1}{x} = 0.$$

ამდენად, ასიმპტოტის განტოლებაა $y = 0$ და ის პორიზონტალურია. $x = 0$ წრფე ვერტიკალური ასიმპტოტაა, რადგან

$$\lim_{x \rightarrow 0^\pm} \frac{1}{x} = \pm\infty.$$

გ) (6.4.3) ფუნქციის გრაფიკს ასიმპტოტები არ აქვს. მართლაც,

$$k = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{x^2}{x} = \lim_{x \rightarrow \pm\infty} x = \pm\infty,$$

ე.ო., k არ არსებობს.

დ) (6.4.4) ფუნქციის გრაფიკს ასიმპტოტები არ აქვს. მართლაც,


$$k = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{f(x)}{x} = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \frac{\sin x}{x} = 0$$

მაგრამ


$$b = \lim_{x \rightarrow \pm\infty} [f(x) - kx] = \lim_{x \rightarrow \pm\infty} \sin x.$$

ეს უგანასკნელი კი არ არსებობს, ე.ო., b არ არსებობს. ამდენად, ასიმპტოტებიც არ არსებობენ.


9. გრაფიკის ავება (იხ. ნახ 6.4.2 – 6.4.5).




Եստ. 6.4.2



Եստ. 6.4.3



Եստ. 6.4.4



Եստ. 6.4.5